სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 51

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი

21 თებერვალი, 2022 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი რექტორის პირველი მოადგილის ირაკლი კაცაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ორანიე ლეუ" (შემდგომში „მიმწოდებელი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის ინგა ჩიკვაიძე-ლომაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა, კერძოდ: ნავიგაციის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამისათვის განკუთვნილი საჭირო სასწავლო ლიტერატურის შესყიდვა, კერძოდ: „ზღვაზე გემების შეძახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები. ქართული თარგმანი და განმარტებები" დანართი №1-ის შესაბამისად.
2.2. კლასიფიკატორის კოდი: 22110000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი;
3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> 100% საგანმანათლებლო მომსახურებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან;
5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან

ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აკადემიის ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი ალექსანდრე ცეცხლაძე.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.
6.2. მომსახურების მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ელექტრონულ ეგზემპლიარად, რომლის თითოეულ დამოწმებულ ასლს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESG22
სახაზინო კოდი: 709007501

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი კაცაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ორანიე ლეუ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 445395965
იურ. მის: ქ. ბათუმი, პორტის შეს., №4, ბ. 25
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. N21
ელ. ფოსტა: i.chikvaidze@olprint.nl
ტელ: 595266100
მიმღების ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის № GE22BG0000000621483100

დირექტორი
ინგა ჩიკვაიძე-ლომაძე

ND 2-O05-12

ფასების ცხრილი					
N	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ ფასი	სულ თანხა
1	სასწავლო სახელმძღვანელო-ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები. ქართული თარგმანი და განმარტებები“	ცალი	300	25	7500
					სულ ჯამი: 7500

„შემსყიდველი“

სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი ბაცაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ორანიე ლეუ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 445395965

დირექტორი
ინგა ჩიკვაიძე-ლომაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

21 თებერვალი, 2022 წ.

ვადასტურებთ, რომ ვმონაწილეობდი გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე მომწოდებლის შერჩევაში, რომლის საფუძველზეც შერჩეულ მომოწდებელთან შპს „ორანიე ლეუ"-სთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 51 ხელშეკრულება.

ხელწერილით ვადასტურებ, რომ აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში მომწოდებლის შერჩევაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი/პირები:

რექტორის პირველი მოადგილე ირაკლი კაცაძე ----------

ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი

ალექსანდრე ცეცხლაძე ----------

LEPL Teaching University - Batumi State Maritime Academy

Подписано цифровой подписью: LEPL Teaching University - Batumi State Maritime Academy
Дата: 2022.02.23 12:08:10 +04'00'

ND 2-O05-12